ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №29 (ს/კ: 01.11.12.015.047), ინდივიდუალური სამსართულიანი შენობის პროექტის

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №29 (ს/კ: 01.11.12.015.047), ინდივიდუალური სამსართულიანი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია თიხნარი ძნელადპლასტიკური კონსინსტენციის, პირობითი საანგარიშო წინაღობა წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_0 = 1,9 კგძ/სმ^2. გრუნტის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხილეთ პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-85კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

საპროექტო შენობა გეგმაში მარტივი კონფიგურაციისაა, ზომები ღერძებში გეგმაში 17,0x9,63. შენობა სამ სართულიანია, არ გააჩნია მიწისქვეშა სართული (სარდაფი).

ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებულია, რკინაბეტონის მონოლითური ჩარჩოები, გადახურვით, პემზაბეტონის წვრილი ბლოკების წყობის 30სმ. სისქის კედლების შემავსებლით.

საძირკვლის ტიპად წარმოდგენილია, მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით 40(H) სმ. ბეტონის კლასით B25. საძირკველი ჩაღრმავების მიხედვით განლაგებულია ერთ დონეზე.

საძირკვლის კედლები, არსებული ასაწყობი ბეტონის კედლები.

იატაკის ფილა, საძირკვლის მონოლითური რკინაბეტონის ფილა 40(H) სმ. ბეტონის კლასით B25.

სვეტები, მონოლითური რკინაბეტონის კვეთით, 40x40 სმ. ბეტონის კლასით B25.

რიგელები, მონოლითური რკინაბეტონის კვეთით 40x55(H) სმ; ფილის სისქის ჩათვლით. ბეტონის კლასით B25.

სართულშუა გადახურვის ფილა, მონოლითური რკინაბეტონის 20 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B25.

სახურავის გადახურვის ფილა, ბრტყელი მონოლითური რკინაბეტონის 20 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B25.

სახურავი, ერთქანობიანი ხის კონსტრუქციები.

შიდა კიბე და ბაქანი, მონოლითური რკინაბეტონის 18 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B25.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №29 (ს/კ: 01.11.12.015.047), ინდივიდუალური სამსართულიანი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის კომპიუტერული გაანგარიშება, სტატიკურ, დინამიკურ და სეისმურ (8 ბალ) დატვირთვებზე.

ფუძე-საძირკვლებისა და შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემის გაანგარიშება შესრულებულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის ,, LIRA SAPR 2018 -ის გამოყენებით. რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს გადაადგილებებში და მათში გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები СНиП 2,01,07-85*(СП 20.13330.2011) - დატვირთვები და ზემოქმედებები, СНиП 2,03,01-84*- ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები, СНиП II-7-81* - მშენებლობა სეისმურ რაიონებში,
СНиП II-23-81* - ლითონის კონსტრუქციები.

გაანგარიშებების შედეგად მიღებული მონაცემები შესაბამისობაშია პროექტით მიღებულ მონაცემებთან.

პროექტში ვრცლად არის დაცული საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები. (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს ბრძანება № 3/26, 05. 2002 წ. და 2006 წ. 24. 02 დადგენილება №45). კერძოდ; 1). სნ - წ - 2.02.01. – 83* ,,შენობებისა და ნაგებობების საძირკვლები“. 2). სნ - წ - 2.01.07. – 85 ,,დატვირთვები და ზემოქმედებანი“. 3). სნ - წ - II – 7 – 81 ,,მშენებლობა სეისმურ რაიონებში“. 4). სნ. - წ - 2.03.01. – 84 ,,ბეტონისა და

რკინაბეტონის კონსტრუქციები“. 5). სნ. - წ - II – 28 – 73* და სნ. - წ - 2.03.11.85 ,,სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან.“ 6). სნ. - წ - II – 2 – 80 ,,შენობებისა და ნაგებობოს პროექტირებისას ხანძარ საწინააღმდეგო ნორმები.

დასკვნა: ამრიგად, ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №29 (ს/კ: 01.11.12.015.047), ინდივიდუალური სამსართულიანი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კარგ დონეზე, საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმების დაცვით და ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი,
ინჟ. - კონსტრუქტორი
მობ. 599 34 43 58

გ. სხილაძე

20.12.2023